პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 23 აპრილი, 1952 წ. № 97 (9257). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო გაბედულად დანერგეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერების, ტექნიკისა და ... გამოცდილების მიღწევები! გააღიდეთ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, მასალები, ელექტროენერგია!

(საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან).

ვიმუშაოთ და ვუხელმძღვანელოთ ახლებურად, ბოლშევიკურად

საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით იბრძვის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. გასულმა წელმა და მიმდინარე წლის პირველმა კვარტალმა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. 1951 წელს რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, ამასთან წარმოების მოცულობა 1950 წელთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა.

მაგრამ ეს წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ისევე როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში, მუშაობაში დაშვებული რომ არ ყოფილიყო სერიოზული შეცდომები, პოლიტიკური ჩავარდნები, ნაკლოვანებანი და საქმის ჩაფუშვა. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც თავიანთ მუშაობაში გადაჭონდათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი, კმაყოფილდებოდნენ მრეწველობის საქმიანობის საერთო მაჩვენებლებით, სწორად და მთლიანად არ იყენებდნენ წარმოების რეზერვებს, ყურადღებას არ აქცევდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს და არ იღებდნენ ღონისძიებებს, რომ ბოლო მოეღოთ მათი ჩამორჩენისათვის, წამოეწიათ ისინი მოწინავეთა დონემდე, გაეუმჯობესებინათ სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და შეემცირებინათ მისი თვითღირებულება.

დიდი ნაკლოვანებანი გამოამჟღავნა დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში თბილისის XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ქალაქის ოცდაექვსი დიდი საწარმო, მათ შორის ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა და სხვ., სახელმწიფო დავალებას ვერ ასრულებს. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები და სათანადო სამინისტროები შეურიგდნენ ზოგიერთი საწარმოს მიერ გეგმის შეუსრულებლობას და არ იღებდნენ საპირო ზომებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ ამ სამარცხვინო მოვლენისათვის.

პარტიული ორგანიზაციები ღრმად არ სწავლობდნენ წარმოების ეკონომიკას, არ ეხმარებოდნენ ადმინისტრაციას დამატებითი, გამოუყენებელი რეზერვების გამონახვაში. სუსტი პარტიული კონტროლისა და დახმარების შედეგად სამეურნეო მუშაკები ცუდად ერკვეოდნენ შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ეკონომიკის ძირითად საკითხებში.

ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა გაიგონ, რომ **სახელმწიფო გეგმა კანონია, რომ გეგმის შეუსრულებლობა კანონის საწინააღმდეგო ქმედობას უდრის.** პარტია ჩამორჩენილი ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს აფრთხილებს და პირდაპირ ეუბნება, რომ თუ დროზე არ გამოასწორებენ მდგომარეობას, არ უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას, ისინი უნდა გამოეთხოვონ თავიანთ საწარმოებს.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უკეთესად, უფრო ქმედითად დაეხმარონ ჩამორჩენილ საწარმოებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკაში არ იყოს არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა და შახტი, რომელიც სახელმწიფო გეგმას ვერ ასრულებდეს.

გეგმის შესრულების საერთო, რაოდენობრივი მაჩვენებლებით გატაცება იმას იწვევდა, რომ შეუმჩნეველი რჩებოდა და იჩქმალებოდა ცალკეული საწარმოების, საამქროებისა და ბრიგადების მუშაობის ნაკლოვანებანი. ბევრი ჩრდილოვანი მხარეა იმ ფაბრიკა-ქარხნების საქმიანობაშიც, რომლებიც გეგმებს ასრულებენ. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის მაუდკამოლის ფაბრიკაში. ამ საწარმომ საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 101,2 პროცენტით გაანაღდა, მაგრამ არ შეუსრულებია იანვრისა და თებერვლის საწარმოო დავალებანი. ფაბრიკის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, სუსტად იბრძვიან შეჯიბრებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის, ნაკლებად ეხმარებიან მუშებს ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში. ამის შედეგად ზოგიერთი მუშა ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმას. იანვარში ნორმა ვერ შეასრულა 85 კაცმა, თებერვალში — 81 კაცმა. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მუშათა პოლიტიკური აღზრდისა და მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ჩვენი ამოცანაა **არ დავუშვერდეთ გეგმების შესრულების საშუალო მაჩვენებლებს, მთელი სიმკაცით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გეგმა სრულდებოდეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ამასთან საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ თვითეული საწარმო მუშაობდეს რიტმულად, გრაფიკის ზუსტად დაცვით.**

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ სამრეწველო ნაწარმის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას მომხმარებელი უყენებს, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება საკმაოდ მაღალია. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, რომელიც გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს მეორეხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებით, მაგრამ არ ასრულებს გეგმას პროდუქციის ყველა სახის მიხედვით, ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვით.

ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება ბათუმის კაგანოვიჩის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა. აქ ყურადღება არ ექცევა დაგეგმილი ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვას. საწარმომ მამაკაცის რეზინისძირიანი ფეხსაცმლის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 69,5 პროცენტით შეასრულა, ტყავის ძირიანი ფეხსაცმელი კი სულაც არ გამოუშვია. არ შეუსრულებია აგრეთვე ქალის მასობრივი ტიპის ტუფლების გამოშვების საწარმოო დავალება. სუსტად არის გაშლილი ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად იანვარსა და თებერვალში პირველხარისხოვანი ნაწარმის გამოშვება შემცირდა 8,2 პროცენტით, ხოლო მეორე ხარისხის პროდუქციისა, პირიქით, 10,8 პროცენტით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი სუსტად ეხმარება ფაბრიკის კოლექტივს ჩამორჩენის გამოსწორებაში.

წარმოების მაღალი კულტურისათვის, ფაბრიკა-ქარხნის მარკის ღირსებისათვის ბრძოლა თვითეული საწარმოო კოლექტივის მოვალეობაა. სოციალისტური მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს დაზგებისა და მოწყობილობის უფრო სრულყოფილად გამოყენებას, მათი წარმადობის გადიდებას. ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში დიდია დაზგა-დანადგარების გაცდენა, ძალიან დაბალია მათი გამოყენების საშუალო კოეფიციენტი. მაგალითად, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მარტო საქსოვ საამქროში მოწყობილობის გაცდენა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 პროცენტისა იანვარში შეადგენდა 12,1, ხოლო თებერვალში — 12,3 პროცენტს. ისეთ მოწინავე საწარმოშიც კი, როგორიც თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანაა, მოწყობილობა მხოლოდ 83 პროცენტით არის გამოყენებული.

სამრეწველო საწარმოთა მუშაკების ამოცანაა გააძლიერონ ბრძოლა საამქროებში, საწყობებში, ფაბრიკა-ქარხნების ეზოებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვისათვის, ბოლო მოუღონ საწარმოო სახსრების მითვისებას, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვასა და დატაცებას.

ჩვენი მრეწველობის მძლავრი აღმავლობის ამოცანა მოითხოვს: ვიმუშაოთ და ვუხელმძღვანელოთ საწარმოებს ახლებურად, ბოლშევიკურად. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებით, ქვემოდან კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებით, ჩამორჩენილ საწარმოთა დაწინაურებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით და თვითღირებულების შემცირებით წარმატებით შევასრულოთ 1952 წლის სახელმწიფო გეგმა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

მეელმავლეთა შრომითი მიღწევები

ხაშური. (საკ. კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებებს. ხაშურელმა მეელმავლეებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ათასობით ტონა ტვირთი, ელმავლების ტექნიკური სიჩქარე გაზარდეს საათში 2,3 კილომეტრით. მათ პერიოდული შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი ელმავალი, მიიღეს 96.000 მანეთი მოგება, დაზოგეს 757.143 კილოვატსაათი ელექტროენერგია და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ელმავლების სადღეღამისო გარბენის დავალებას.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდა მეელმავლეთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც უფროსი მემანქანე, კომკავშირელი ილია ლაბაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მარტში გეგმის გადამეტებით გადაზიდა ათასობით ტონა ტვირთი და გასწია 1.600 მანეთის ეკონომია.

სპილენძმგლინავთა წარმატება

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის სპილენძ-საგლინავი ქარხნის კოლექტივმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრა. ქარხანაში დიდი ხანია დაიწყო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება. ფურცლოვანი სპილენძის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე 110,3 პროცენტით შესრულდა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ტონა ფურცლოვანი სპილენძი, ამასთან შარშანდელთან შედარებით 7,3 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

წარმატებით მუშაობენ სპილენძმგლინავები აპრილშიც. მათ მნიშვნელოვანი გადამეტებით აქვთ შესრულებული აპრილის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება და პირობას იძლევიან ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულონ აპრილის გეგმა.

განვაზოგადოთ ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილება

თბილისელმა მეორთქლმავლეებმა გასულ თვეში გარეცხვითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 6 ორთქლმავალი, თვითეული ორთქლმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა გეგმასთან შედარებით გაადიდეს 7 კილომეტრით, აწევითი შეკეთების საამქროში ორთქლმავლების რემონტის თვითღირებულება ნორმასთან შედარებით შეამცირეს 32 პროცენტით, ტექნიკური სიჩქარე გაადიდეს 0,5 კილომეტრით და დიდი რაოდენობით დაზოგეს საწვავი.

საამქროებში და საორთქლმავლო გუნდებს შორის ფართოდ არის გაჩაღებული საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. მარტში და აპრილის გასულ ორ დეკადაში მატარებლების შეუფერხებელი ტარების, საწვავის ეკონომიისა და ტვირთბიდვის გეგმის შესრულებაში დაწინაურდნენ დეპოს უფროსი მემანქანეები ვ. ჩომახიძე, შ. კალმახელიძე და დ. სიმონიძე. მარტო გასულ თვეში მათ დაზოგეს 12 ათას კილოგრამზე მეტი საწვავი. მათ ორთქლმავლებს მინიჭებული აქვს ამიერკავკასიის რკინიგზის საუკეთესო ორთქლმავლის წოდება.

უწუნოდ მუშაობენ და წარმატებით ასრულებენ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარჩინებული ზეინკლები გ. ხაჭაპურიძე, ვ. ბოხუა, ხარატები ს. სანაძე და ვ. მანჯგალაძე. დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ მჭედელი ზ. ხეჩუაშვილი, მეთუნუქე მ. ნარიმანიძე, შემდუღებელი შ. თათარაშვილი, მსხმელი ზ. ნატროშვილი და სხვები.

მოწინავეებთან ერთად არიან ჩამორჩენილებიც. დეპოში მოქმედი ორთქლმავლებიდან მხოლოდ სამ ორთქლმავალს აქვს კარგი მაჩვენებლები და მინიჭებული საუკეთესო ორთქლმავლის წოდება. ორთქლმავლის სადღეღამისო გარბენის ნორმები ვერ შეასრულეს და საწვავი დიდი რაოდენობით გადახარჯეს მემანქანეებმა ა. სამხარაძემ და ს. ნაზარბეგოვმა. დღიურ საწარმოო ნორმებს ვერ ასრულებენ ზეინკალი ი. ზაქარიაძე და ხარატი რ. უსანეთაშვილი.

დეპოს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ მოწინავე ნოვატორთა მუშაობის მეთოდების დანერგვის საქმეს, საკმაო დახმარებას ვერ უწევენ ჩამორჩენილებს. აღნიშნული ნაკლოვანებანი დროზე უნდა აღმოიფხვრას.

ხე-ტყე გეგმის გადამეტებით

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის ტყემრეწვმეურნეობამ პირველი კვარტალის გეგმა გადამეტებით შეასრულა. უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ხე-ტყის გამოზიდვის საქმეში. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოზიდულია 7.000 კუბური მეტრით მეტი ხე-ტყე. უკეთესად მუშაობენ ხე-ტყის დამამზადებლები აპრილში.

ცალკეულ უბნებს შორის პირველობას ილტოს დამზადების უბანი ინარჩუნებს. ამ უბანმა ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის პირველი კვარტალის დავალება 116,5 პროცენტით შეასრულა.

ახმეტის ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივი საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და აპრილის გეგმის 110 პროცენტით შესრულება იკისრა.

მეჯი კირი მშენებლებს

ჟუთაისი. (საკ. კორ.). კირის ქარხნის სტახანოველები შეუნელებელი ენერგიით იბრძვიან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის. საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესი, რამაც დიდად დააჩქარა ღუმელში კირქვის ჩატვირთვა. ამასთან შემცირებულ იქნა საწარმოო ციკლი, რითაც საგრძნობლად გადიდდა პროდუქციის გამოშვება.

მაღალნაყოფიერი შრომით კვარტალური გეგმა ვადაზე 8 დღით ადრე შესრულდა, თვითღირებულება შემცირდა 2 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5 პროცენტით. ნაკისრ ვალდებულებათა მაღალი მაჩვენებლებით შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი: საღუმელე ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ზედაშიძემ და კირქვის კარიერზე მომუშავე სტახანოველებმა გ. ქათამაძემ, ნ. ოყრეშიძემ, პ. მახვილაძემ, ა. ობოლაძემ.

ფაბრიკა მზად არის სეზონისათვის

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). აცანის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ბ. მემარნიშვილი) ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების საქმეში ყოველწლიურად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს.

ახლა ფაბრიკის მთელი კოლექტივი ჩაბმულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ვადაზე ადრე დაამთავრეს მანქანა-დანადგარების კაპიტალური რემონტი. ფაბრიკაში წელს პირველად იდგმება მტვრისშემწოვი მოწყობილობა, რაც უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

ფაბრიკის კოლექტივი პირობას იძლევა წელს შარშანდელზე 291 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი გადაამუშაოს, საგრძნობლად შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს 4 ტონამდე საწვავი და 2.500 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, სახელმწიფოს მისცეს ერთ მილიონ მანეთზე მეტი მოგება.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვი. აგროტყემლეიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიები ამუშავებენ კასპიისპირა მიწებზე სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკას.

სურათზე: ხათისულე ლაბორატორიაში. ასპირანტი ს. ა. პეტროვა (მარცხნივ) და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. ხ. კოსტრომინა არკვევენ ხის ჯიშების თესლის გაღივების უნარს.

ფოტო ვ. შაროვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ვეღევიზორები საკოლმეურნეო ბრიგადებში

დმიტროვი, (მოსკოვის ოლქი), 21 აპრილი. (საკდესი). დმიტროვის რაიონის კოლმეურნეობა „ბორეცის“ და კრასნაია პოლიანას რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ ბრიგადებში დადგმულია ტელევიზორები. ბრიგადის წევრები მუშაობის შემდეგ იკრიბებიან ოჯახის წევრებთან ერთად ტელეგადაცემათა სანახავად. კვირაობით ტელევიზორებთან თავს იყრიან ბავშვები. აპრილში კოლმეურნეებმა ნახეს მოსკოვის თეატრების დადგმები: „ფსკერზე“, „მგლები და ცხვრები“, „მკვდარი სულები“, „მათ მხარეში“, მხატვრული კინოსურათები, კინოჟურნალები სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო თემებზე.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი თათრულ ენაზე

ქაზანი. (საკდესი). თათრეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ თათრულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი.

საბჭოთა კავშირში

★ ★

დიდი ლენინის სამშობლოში

ულიანოვსკი, 21 აპრილი. (საკდესი). ულიანოვის (ყოფილი პრილეპსკაიას) ქუჩაზე გაელისას საბჭოთა ადამიანები სიყვარულით შეჰყურებენ პატარა სადა სახლსა და მასზე მიკრულ მემორიალურ დაფას, რომელზეც ილიჩის ბარელიეფს ქვემოთ წარწერილია „აქ 1870 წლის 22 აპრილს დაიბადა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინი“.

ფართო მოედნიდან, რომელიც ვოლგის მაღალ ნაპირზეა, მდინარე სვიაგამდე პირდაპირ მაგისტრალად გაწოლილა ლენინის ქუჩა. ამ ქუჩაზეა ერთსართულიანი პატარა სახლი მეზონინით. აქ ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა 1887 წლიდან. 1929 წელს ამ სახლში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი, სადაც დაცულია ის მოწყობილობა, რომელიც იყო ილიჩის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებში.

არაჩვეულებრივი მღელვარებით შედის ამ სახლში მრავალი ექსკურსანტი. ისინი ხედავენ აქ ვლადიმერ ილიას-ძის ოთახს, სადაც დადგმულია საწერი მაგიდა, ორი სკამი, წიგნის თარო და გაკრულია ნახევარსფეროების გეოგრაფიული რუკა. მაგიდაზეა ხელნაწერები, ვ. ი. ულიანოვის მიერ სიმბირსკის გიმნაზიის საუკეთესოდ დამთავრებისათვის მიღებული ოქროს მედლის ასლი.

სსრ კავშირის ყველა კუთხიდან, ბევრი უცხო ქვეყნიდან ჩამოდიან ულიანოვსკში ადამიანები, რათა ინახულონ ლენინის ადგილები. ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმისა და ცენტრალური მუზეუმის ფილიალის გახსნის დღიდან ისინი ინახულა მილიონნახევარზე მეტმა კაცმა, ხოლო სახლ-მუზეუმის მნახველთა შთაბეჭდილებების ჩანაწერებმა 13 ტომი შეადგინა.

სვერდლოვსკი. ურალსკის ტურბინმოტორის ქარხნის ხარატი-მეკარუსელე ნ. მ. იაკუშევი ცვლაში სამ ნორმას ასრულებს. **სურათზე:** ხარატი-მეკარუსელე ნ. მ. იაკუშევი

ფოტო ხ. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საბაგირო გზა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გაუგზავნეს საბაგირო გზის მოწყობილობის დიდი პარტია. ეს ფოლადის სპჰაერო გზა ერთმანეთთან დააკავშირებს კარიერებს, ბეტონის ქარხანასა და ჰიდროელექტროსადგურის კამხალს, რომელიც შენდება. გზის საერთო სიგრძე იქნება 19 კილომეტრი.

ამჟამად მშენებლობის მოედანზე გაემგზავრა სატრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაციის საკავშირო სახელმწიფო ტრესტის მემონტაჟეთა ჯგუფი. იგი დაამონტაჟებს 70 მეტრი სიმაღლის ლითონის ანძებს. ანძებს შორის გაჭიმული იქნება ფოლადის ბაგირები, რომლებითაც ივლის ქვიშა, ღორღითა და სხვა მასალებით დატვირთული ორასამდე ვაგონეტი.

ამჟამად მიმდინარეობს საბაგირო გზის ტრასის დაგეგმვა, შენდება საყრდენი ანძების საძირკველი. მემონტაჟეებმა უნდა დადგან ლითონის კონსტრუქციები, რომელთა წონა ორი ათას ტონას უდრის. (საკდესი).

სახლების გაღასაჭანი მანქანა

ლენინგრადი. (საკდესი). სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის კოლექტივმა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის ინსტიტუტთან ერთად შექმნა ხის შენობების გადასატანი მანქანა.

სახლი სპეციალური სამარჯვების დახმარებით საძირკველზე აიღება და ორიგინალური კონსტრუქციის პლატფორმით ყოველ ადგილას და ყოველ მანძილზე გადაიტანება. 5-6 საათის განმავლობაში ერთსართულიანი შენობა შეიძლება გადატანილ იქნას 15 კილომეტრზე.

სახლების გადასატანი მანქანების კონსტრუქცია მოწონებულია რუსეთის სფსრ სამინისტრო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს მიერ და მიღებულია სერიული გამოშვებისათვის. ლენინგრადელ ინჟინერთა მიერ შექმნილი მანქანა ფართო გამოყენებას ჰპოვებს კომუნიზმის დიად მშენებლობებზე საცხოვრებელი ღრმების გადატანის დროს.

იური ღუვანოვის მსოფლიო რეკორდი

ლენინგრადი, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ შრომის სასახლეში გაიმართა საზოგადოება „სტროიტელის“ შტანგისტთა შეჯიბრება. დიდ წარმატებას მიაღწია ლენინგრადელმა შტანგისტმა მსოფლიო რეკორდსმენმა იური ღუვანოვმა.

ორი ხელით ატაცში ღუვანოვმა აჩვენა შედეგი 129 კილოგრამი 600 გრამი. ეს აღემატება საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს ნახევარსაშუალო წონის შტანგისტთათვის. ორი ხელით აკვრაში ღუვანოვმა დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი. მისი შედეგია 158 კილოგრამი 500 გრამი.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ ՆՈՐ ԱՆԴԱՄՆԵՐԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԱ թղթակից անդամ Ա. Ա. Աբրահամյանը (Լուս. ԱՄՆ). Ծնվել է 1904 թ. Երևանում։ 1927 թ. ավարտել է Երևանի պետական համալսարանի ֆիզիկամաթեմատիկական ֆակուլտետը։ 1930 թ. ընդունվել է ասպիրանտուրա Լենինգրադի ֆիզիկական ինստիտուտում։ 1933 թ. պաշտպանել է թեկնածուական, 1939 թ.՝ դոկտորական ատենախոսություն։ 1934 թ. ընտրվել է Լենինգրադի պետական համալսարանի պրոֆեսոր։ 1943 թ. ընտրվել է ՀԱՍՀ ԳԱ թղթակից անդամ։ 1943–1946 թթ. եղել է ՀԱՍՀ ԳԱ նախագահ։ 1946 թ. տեղափոխվել է Մոսկվա։ 1946–1950 թթ. եղել է ՍՍՀՄ ԳԱ Ռադիոտեխնիկայի և էլեկտրոնիկայի ինստիտուտի տնօրեն։ 1950 թ. ընտրվել է ՍՍՀՄ ԳԱ թղթակից անդամ։ 1950–1963 թթ. եղել է ՍՍՀՄ ԳԱ Ֆիզիկական պրոբլեմների ինստիտուտի տնօրեն։ 1963 թ. ընտրվել է ՍՍՀՄ ԳԱ ակադեմիկոս։ Ա. Ա. Աբրահամյանի գիտական աշխատանքները նվիրված են ռադիոֆիզիկայի, էլեկտրոնիկայի, ֆիզիկական էլեկտրոնիկայի, ինչպես նաև ֆիզիկական հիդրոդինամիկայի հարցերին։ Նրա աշխատանքները մեծ նշանակություն ունեն ռադիոտեխնիկայի, ռադիոլոկացիայի, ռադիոնավիգացիայի, ռադիոաստղագիտության, ինչպես նաև ռադիոսպեկտրոսկոպիայի զարգացման համար։ Նրա ղեկավարությամբ ստեղծվել են ռադիոտեխնիկայի, էլեկտրոնիկայի, ռադիոֆիզիկայի, ռադիոաստղագիտության, ռադիոսպեկտրոսկոպիայի, ֆիզիկական էլեկտրոնիկայի, ֆիզիկական հիդրոդինամիկայի գիտական դպրոցներ։ Ա. Ա. Աբրահամյանը ՀԱՍՀ ԳԱ նախագահության անդամ է։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԱ թղթակից անդամ Ա. Ա. Ալիխանյանը (Լուս. ԱՄՆ). Ծնվել է 1908 թ. Թիֆլիսում։ 1930 թ. ավարտել է Լենինգրադի պոլիտեխնիկական ինստիտուտի ֆիզիկական ֆակուլտետը։ 1933 թ. պաշտպանել է թեկնածուական, 1939 թ.՝ դոկտորական ատենախոսություն։ 1934 թ. ընտրվել է Լենինգրադի պոլիտեխնիկական ինստիտուտի պրոֆեսոր։ 1943 թ. ընտրվել է ՀԱՍՀ ԳԱ թղթակից անդամ։ 1943–1946 թթ. եղել է ՀԱՍՀ ԳԱ նախագահ։ 1946 թ. տեղափոխվել է Մոսկվա։ 1946–1950 թթ. եղել է ՍՍՀՄ ԳԱ Տեսական և փորձնական ֆիզիկայի ինստիտուտի տնօրեն։ 1950 թ. ընտրվել է ՍՍՀՄ ԳԱ թղթակից անդամ։ 1950–1963 թթ. եղել է ՍՍՀՄ ԳԱ Միջուկային ֆիզիկայի ինստիտուտի տնօրեն։ 1963 թ. ընտրվել է ՍՍՀՄ ԳԱ ակադեմիկոս։ Ա. Ի. Ալիխանյանի գիտական աշխատանքները նվիրված են միջուկային ֆիզիկայի, տիեզերական ճառագայթների, տարրական մասնիկների ֆիզիկայի հարցերին։ Նրա ղեկավարությամբ ստեղծվել են միջուկային ֆիզիկայի, տիեզերական ճառագայթների, տարրական մասնիկների ֆիզիկայի գիտական դպրոցներ։ Ա. Ի. Ալիխան

მოწინავე საწარმოს ჩრდილოვანი მხარეები

ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. ფართოდ არის ცნობილი მისი კოლექტივის შრომითი მამაცობა. ქარხანაში განუხრელად აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ რეჟიმს და საწარმოო პროცესების ორგანიზაციას, სისტემატურად ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას და ზრდიან დაზგების გამოშვებას.

კიროველმა დაზგათმშენებლებმა წელს შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს. პირველ კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, სახელმწიფო დავალება განაღდებულია ყველა მჭიდენებლის მიხედვით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე უნივერსალური სახარატო დაზგა, 11,3 პროცენტით გაზრდილია შრომის ნაყოფიერება, 0,55 პროცენტამდე დაყვანილია საწარმოო წუნი. დაზგების თვითღირებულების შემცირებით პირველ კვარტალში მიღებულია 382 ათასი მანეთი ეკონომია.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ამ მოწინავე ქარხანაშიც ყველაფერი რიგზე არ არის, მასაც აქვს ჩრდილოვანი მხარეები, რომელთა დაძლევა მთელი კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა.

ქარხნის კოლექტივი უმეტეს შემთხვევაში ასრულებს დაზგების გამოშვების დეკადურ დავალებას, მაგრამ ხშირად არღვევს სადღეღამისო გრაფიკს. მესამე ამწყობი საამქრო ზოგჯერ სანახევროდაც ვერ ასრულებს სადღეღამისო დავალებას, ზოგჯერ კი ერთ დღეში ორი დღის ნორმას იძლევა. არარიტმული მუშაობა აფერხებს საამქროს საქმიანობას და უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ამ საამქროს შეუძლია დაამზადოს გაცილებით მეტი და უფრო კარგი ხარისხის დაზგები, თუ იგი შეუფერხებლად და რიტმულად მომარაგდება სადაზგე დეტალებით.

19 აპრილს მესამე ამწყობი საამქროს პირველ ცვლაში მოსცდა სიჩქარის კოლოფის ამწყობი კონვეიერი, რის გამოც ამ დღეს ქარხანას 10 სიჩქარის კოლოფი დააკლდა. ეს არ მოხდებოდა, პირველ მექანიკურ საამქროს პირნათლად რომ შეესრულებინა სადღეღამისო დავალება.

აღნიშნულმა საამქრომ კი სადღეღამისო დავალება ვერ შეასრულა იმიტომ, რომ 19 აპრილს საამქროს უფროსმა ა. დათებოვმა და ცვლის ოსტატებმა ო. ნათაძემ, ა. ბელიკოვმა და გ. მასლოვსკიმ საჭიროებისამებრ ვერ გაანაწილეს მუშახელი, ამასთან სამუშაო ადგილები წინასწარ ისე არ იყო მომზადებული, რომ მუშებს ცვლის განმავლობაში მთელი დატვირთვით ემუშავნათ. საამქროს უფროსის მოადგილეებმა ლ. გოგიჩაძემ და ი. პობგრებეცკიმ თავი არ შეიწუხეს იმისათვის, რომ დროზე შეემოწმებინათ მუშაობის დასაწყებად დაზგების ტექნიკური მზადყოფნა და ინსტრუმენტებით მომარაგების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ საამქროს მექანიკოსი გ. გორგიშვილი უპასუხისმგებლოდ და არასერიოზულად ეკიდება მინდობილ საქმეს. ამის შედეგია, რომ საამქროში დაზგა-დანადგარები გაჭუჭყიანებულია, მათ წესიერად არ უვლიან, თავის დროზე არ ზეთავენ, რუმონტს დაბალხარისხოვნად უკეთებენ, ამასთან არღვევენ საგეგმო შეკეთების გრაფიკს. დროზე შეუკეთებლობის გამო აპრილში 4 დღეს მოცდა დაზგა, რომელზეც ლითონმხეხავი გ. სინაურიძე და ი. ტრეგუბოვი მუშაობენ. ეს დაზგა მანამდე არ შეაკეთეს, ვიდრე ძალიან არ გაფუჭდა და საჭირო არ გახდა ყველა დეტალის ახლით შეცვლა, რამაც გაზარდა დაზგის შეკეთების ხარჯები.

საერთო წარმატების პირობებში ქარხნის ხელმძღვანელობას მხედველობიდან გამორჩა დაზგა-დანადგარის მოვლა-პატრონობის პასუხსაგები საქმე. მთავარი მექანიკოსი ი. გერშკოვიჩი რატომღაც ვერ ამჩნევს, რომ დაზგა-დანადგართა უმეტესობა სათანადოდ მოვლილი არ არის, რომ შეკეთების ხარისხი დაბალია. პირველი მექანიკური საამქროს მეხუთე განყოფილებაში დაბალხარისხოვნად შეკეთებისა და მოუვლელობის გამო ხშირად ჩერდება გრძივად მრანდავი დაზგები. ამავე განყოფილებაში რამდენიმე თვეა უმოქმედოდ დგას კბილანების საჭრელი დაზგა. ეს მაშინ, როცა ქარხანაში სულ 2 ასეთი დაზგა აქვთ.

ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის ვ. შალამბერიძის და ელექტროსაამქროს უფროსის ვ. რემენკოვის უდარდელობის შედეგად მოუვლელია ხიდური ამწეები. ისინი მომარაგებული არ არიან სათადარიგო დეტალებით. დაბალია შეკეთების ხარისხი. ამის გამო ხიდური ამწეები ხშირად ფუჭდება და მწყობრიდან გამოდის, რაც აფერხებს საწარმოო უბნების მუშაობას. ცუდი შეკეთებისა და მოუვლელობის გამო აპრილის განვლილ დღეებში ხიდური ამწე ორჯერ გაფუჭდა პირველ მექანიკურ საამქროში. ასეთივე შემთხვევა იყო მესამე მექანიკურ საამქროშიც. 19 აპრილს დაზიანდა საბურღავი დაზგების კონვეიერის ელექტროხაზი. ამან გამოიწვია ერთ-ერთი სადაზგე კვანძის აწყობის ჩაშლა.

ქარხანაში ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. პირველ კვარტალში უმიზეზოდ გაცდენილია 579 კაცდღე. ეს გაცდენები რომ არ ყოფილიყო, ქარხანას დამატებით რამდენიმე დაზგის გამოშვება შეეძლო. არის მუშახელის დენადობა, რაც იმის შედეგია, რომ მოუგვარებელია მუშების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. 2 წლის წინათ დაიწყო ქარხნის მუშების საცხოვრებელი 5-სართულიანი სახლის მშენებლობა. მშენებლობას აწარმოებს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ (უფროსი ნ. გიორგაძე) სამშენებლო კანტორა „ქალაქმშენი“ (უფროსი ამხ. ბოკერია). ამ კანტორამ 2 წლის განმავლობაში შენობის მხოლოდ საძირკვლის ამოყვანა „მოასწრო“, უპასუხისმგებლოდ აჭიანურებს აგრეთვე მუშათა დროებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, საამქროებში შხაპების მოწყობას, თვითეული მუშისათვის კარადების გაკეთებას ტანსაცმლისა და პირადი ნივთების შესანახავად.

ამ ჩრდილოვანი მხარეების აღმოფხვრა დიდ შესაძლებლობებს შექმნის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, უფრო აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და საგრძნობლად გაადიდებს დაზგების გამოშვებას.

მ. აროშიძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაჭიმ ჩამორჩება გორის შპალსაჭეწნთი ქარხანა?“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 27 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო გორის შპალსაჭეწნთი ქარხნის ცუდი მუშაობა. საწარმომ გასულ წელს წლიური გეგმის შესრულებას 11 პროცენტი დააკლო, ჩამორჩა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. დ. რომელაშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა გორის შპალსაჭეწნთი ქარხნის მუშაობის საკითხი და დადასტურებულად სცნო წერილში მოყვანილი ფაქტები. ბიურომ საწარმოს მუშაობაში მხილებულ ნაკლოვანებათა სასწრაფო ლიკვიდაციისათვის დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ქარხნის დირექტორს ამხ. შენგელაიას საწარმოო გეგმების შეუსრულებლობისათვის, საშტატო ერთეულებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ქიტიაშვილს, რომელმაც დროზე ვერ ამხილა საწარმოს მუშაობაში არსებული ჩამორჩენა, მიეთითა.

„მეჯი ყურადღება მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 11 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, ტყიბულელ მეშახტეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით დამაყოფილებელი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბაქრაძე გვატყობინებს, რომ შემოწმებით კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღო საჭირო ღონისძიებანი.

რაიკომის ბიურომ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველს, შახტების უფროსებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებს დაავალა გაძლიერონ ზრუნვა მეშახტეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ყოველდღიურად იზრუნონ საერთო საცხოვრებლებში, აბანოებსა და სასადილოებში წესრიგისა და კულტურის დამყარებისათვის.

სეზონის გახსნა მენჯში

ცხაკაია. (სპკ. კორ.). გაიხსნა სეზონი ბალნეოლოგიურ კურორტ მენჯში. უკვე მკურნალობს 146 ავადმყოფი, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ხაბაროვსკიდან, დნეპროძერჟინსკიდან, კიევიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან.

ამ დღეებში მოელიან დამსვენებელთა ახალ ჯგუფებს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრების დათვალიერებაში

20 აპრილს თბილისში დაიწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერება.

საქართველოს საბავშვო თეატრები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პიონერებისა და მოსწავლეების იდეური და მხატვრული აღზრდისათვის. 1951 წელს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის წარმოდგენები ნახა 197 ათასმა ბავშვმა, ხოლო რუსული თეატრისა — 215 ათასმა. თეატრები მაყურებელს უჩვენებენ როგორც თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის ამსახველ სპექტაკლებს, ისე ქართული, რუსული და ევროპული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს.

წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრების დათვალიერება დაემთხვა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის არსებობის 25 წლისთავს. ეს თეატრი გაიზარდა ამიერკავკასიის რკინგზის მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი წრიდან. ამ წრის პირველი სპექტაკლი გაიმართა პიონერთა სახელობის კლუბში 1927 წლის 18 აპრილს. ლ. ბ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ თა თეატრის შექმნის ინიციატორი და მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ იაკობის-ძე მარშაკი. 25 წლის მანძილზე ლ. ბ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა მტკიცე შემოქმედებითი კოლექტივი შექმნა. ისეთი აქტიორები, როგორიც არიან საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ო. ბელენკო, მ. ბუბუტეიშვილი, ჩ. კიროვა, შსახიობები ნ. გლობენკო, ო. ორიოლი, თ. პაპიტაშვილი, ლ. რომანოვი ამ თეატრში გაიზარდნენ და შემოქმედებითად დაოსტატდნენ. ზოგიერთი მათგანი 20 წელზე მეტია მუშაობს ამ თეატრის სცენაზე. მათ გვერდით სერიოზული შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ — ა. ინოზემცევმა, ვ. ურუსოვმა, ა. აგალაროვამ, ნ. პანკინამ, ნ. ჭონიშვილმა და სხვებმა.

ლ. ბ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრს თავის შემოქმედებითს გზაზე მრავალი საინტერესო სპექტაკლი შეუქმნია. ასეთებია „ახალგაზრდა გვარდია“, „თოვლის დედოფალი“, „სიმწიფის მოწმობა“, „შინაურები ვართ, მოვრიგდებით“, „პატარა კახი“, „კომბლე“, „რომეო და ჯულიეტა“, „ჩექმებიანი კატა“ და სხვ.

25 წლის მანძილზე მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა დადგა 128 პიესა, უჩვენა 5.810 სპექტაკლი და მოემსახურა 2.500.000 მაყურებელს.

* * *

თავისი არსებობის 25 წლისთავს მალე აღნიშნავს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრიც. თეატრმა შექმნა საინტერესო, მრავალფეროვანი რეპერტუარი, გააუმჯობესა სპექტაკლების ხარისხი.

თეატრის რეპერტუარს ძირითადად საფუძვლად უდევს საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებები: ვ. დარასელის „კოკვიძე“, გ. ნახუცრიშვილის და ბ. გაძრეკელის „ლადო კეცხოველი“, ს. მიხალკოვის „შინ დაბრუნება მინდა“, დ. შენგელაიას „გამოქცევა“ და სხვ. თვალსაჩინოებს რა თავისი მაყურებლის ასაკობრივ მოთხოვნას, თეატრს რეპერტუარში აქვს ქართული და რუსული კლასიკური მწერლობის ნაწარმოებები („სურამის ციხე“, „ბაში-აჩუკი“, „უცარი სიმდიდრე“, „შემოსავლიანი ადგილი“, „ქორწინება“).

თეატრი სიყვარულით მუშაობს ზღაპრული ჟანრის სპექტაკლების შექმნაზე და ამ მიმართულებით სერიოზული მიღწევები აქვს. ნორჩ ნაყურებელთა შორის წარმატებით სარგებლობენ პიესები—ზღაპრები „კომბლე“, „მირანგულა“, „ზამთრის ზღაპარი“, „გაქვავებული ქალაქი“.

თავისი არსებობის მანძილზე მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა გამოზარდა შრომისმოყვარე, მტკიცედ შემჭიდროებული, თავისი საქმისადმი ერთგული შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ყოველწლიურად აუმჯობესებს სპექტაკლების იდეურ-მხატვრულ ხარისხს. თეატრის დასში მუშაობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები—გ. კუპრაშვილი, თ. თვალაშვილი, მ. ერგნელი, ნ. სირბილაძე, ვ. არეშიძე, გ. დარისპანაშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი, დრამატული ხელოვნების გამოცდილი ოსტატები — ნ. ხორავა, დ. ცხაკაია, ი. ნინუა, გ. დეისაძე, მ. მესხიშვილი, მ. გელაშვილი, აგრეთვე ნიჭიერი ახალგაზრდობა — ა. კიკალეიშვილი, ლ. ძოგრაშვილი, ვ. ჯახუტაშვილი, გ. გოგობერიძე, ე. ჩაჩავა, მ. გომიაშვილი.

თეატრმა გამოზარდა თავისი დრამატურგებიც. დრამატურგებთან (გ. ნახუცრიშვილი, გ. ბერძენიშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი, ა. აგლაძე, გ. ჩიტაიშვილი, ქ. გოგიაშვილი, გ. გოგიჩაიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ქ. ქუჩუკაშვილი) შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შექმნილია ათზე მეტი ორიგინალური ნაწარმოები.

* * *

მოზარდ მაყურებელთა თეატრების დათვალიერება მიზნად ისახავს საბავშვო თეატრების შემოქმედებითი, პედაგოგიური და საწარმოო მოღვაწეობის ყურადღების გამახვილებას მოზარდი თაობის იდეურ-მხატვრული აღზრდის საკითხებისადმი. დათვალიერებამ აგრეთვე სტიმული უნდა მისცეს საბავშვო თეატრების შემდგომ აღმავლობას.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი, ამ თეატრების ყველა სპექტაკლი როდი დგას დამაკმაყოფილებელ მხატვრულ დონეზე. ნაკლებად მუშაობენ თეატრები მცირე ასაკის ბავშვთათვის შესაფერი სპექტაკლების შექმნისათვის. პიესებს საბჭოთა სკოლის, პიონერთა ორგანიზაციისა და სახელოსნო სასწავლებლების შესახებ ორმხრივად შეხედებით ჩვენი საბავშვო თეატრების რეპერტუარში.

მცირე ყურადღებას უთმობენ საბავშვო თეატრები სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ხარისხს. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ზოგიერთი წარმოდგენა ღარიბულად, ულამაზოდ გამოიყურება. სუსტად მუშაობენ თეატრების პედაგოგიური განყოფილებანი, მათ მჭიდრო კავშირი არა აქვთ სკოლებთან, პედაგოგიურ საზოგადოებრიობასთან, კომკავშირის ორგანიზაციებთან და მშობლებთან. საბავშვო თეატრების ნაყოფიერად განვითარებას ხელს უშლის ზოგიერთი ორგანიზაციული სიძნელეც. თეატრებში სწორად არ არის დაკომპლექტებული დასები. საკმარისად არ არის შესწავლილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო საბავშვო თეატრების გამოცდილება.

დათვალიერებამ უნდა დარაზმოს საზოგადოებრიობის ყურადღება ამ საკითხების ირგვლივ, უნდა დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი საბავშვო თეატრების მუშაობაში არსებული ნაკლის აღმოსაფხვრელად, თეატრების შემოქმედებითი და საორგანიზაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრები დათვალიერებაზე გვიჩვენებენ 1951-52 წლების სეზონში მომზადებულ ორ ახალ დადგმას და მიმდინარე რეპერტუარის ოთხ საუკეთესო სპექტაკლს.

ლ. ბ. კაგანოვიჩის სახელობის თეატრს, რომლის სპექტაკლების ჩვენებით დაიწყო დათვალიერება. რეპერტუარში დამტკიცებული აქვს შემდეგი სპექტაკლები: „გასტელო“, „სიმწიფის მოწმობა“, „საგანგებო დავალება“, „კომბლე“, „ჭექა-ქუხილი“, „რომეო და ჯულიეტა“.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი დათვალიერებაზე გვიჩვენებს „კოკვიძეს“, „შინ დაბრუნება მინდა“, „შემოსავლიან ადგილს“, „ბაში-აჩუკს“, „ზამთრის ზღაპარს“. ამჟამად თეატრი ამზადებს გ. ბერძენიშვილის ახალ პიესას „ძველი ჩრილობა“, რომლის ჩვენებაც აგრეთვე განზრახულია დათვალიერების დროს.

საქართველოს მოზარდ მაყურებელთა თეატრები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით სარგებლობენ, მოწოდებული არიან დაეხმარონ სკოლას და ოჯახს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

შ. გუაჩიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე

ქართველ მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები სომხურ ენაზე

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქართველი მწერლების საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების კრებული „საქართველოს გაზაფხული“.

კრებულში მოთავსებულია შიო მღვიმელის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნაკაშიძის, გრ. აბაშიძის, მ. ბარათაშვილის, ლ. ქიაჩელის, ი. გრიშაშვილის, რ. ელანიძის, ა. თევზაძის, ა. ხახუტაშვილის, ქ. კალაძის, გ. კაჭახიძის, ა. ლომიძის, მარიჯანის, რ. მარგიანის, მაყვალა მრევლიშვილის, გ. შატბერაშვილის, ნ. ჩაჩავას, ბ. ჩხეიძის, ო. ჩხეიძის, ი. სიხარულიძის, ა. ონელის ნაწარმოებნი.

წიგნი შეიცავს 144 გვერდს და ჩასმულია მაგარ ყდაში.

პასუხი შეკითხვაზე

კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ

კაპიტალისტური გარემოცვის საკითხი დაკავშირებულია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხთან. დაახლოებით ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ დიდმა ლენინმა გენიალურად ახსნა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ „სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა. მსოფლიო გაიყო ორ დიდ ბანაკად — სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ბანაკად. სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა დედამიწის ერთ მეექვსედზე, ხოლო მის ირგვლივ, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში დარჩა ექსპლოატაციაზე დაფუძნებული წყობილება, ე. ი. დარჩა კაპიტალისტური გარემოცვა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „...ჩვენ ვცხოვრობთ არა კუნძულზე, არამედ „სახელმწიფოთა სისტემაში“, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მტრულად ეკიდება სოციალიზმის ქვეყანას და ქმნის ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეს“...

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ მსოფლიო რეაქცია ყოველგვარ სისაძაგლეს მიმართავს სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. მას არ შეუძლია გულდამშვიდებით უცქიროს სოციალისტურ სისტემას და ხელი არ შეუშალოს თავისუფალ ხალხთა შემოქმედებითს შრომას.

1937 წლის 3 მარტს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული ამხანაგი ხშირად ლაყბობს კაპიტალისტურ გარემოცვაზე, მაგრამ მათ არა სურთ ჩაუფიქრდნენ, რა არის კაპიტალისტური გარემოცვა. „კაპიტალისტური გარემოცვა ეს ცარიელი ფრაზა როდია, ეს მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. კაპიტალისტური გარემოცვა ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაიმყარა სოციალისტური წესწყობილება და, გარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა — ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც გარს ერტყმიან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში—ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი“.

ამით აიხსნება, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი შეიცავს ორ სხვადასხვა პრობლემას: 1) ჩვენი ქვეყნის საშინაო ურთიერთობის პრობლემას და 2) ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობის პრობლემას.

საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ გადაჭრა საშინაო ურთიერთობის პრობლემა. ჩვენს ქვეყანაში უკვე გაიმარჯვა სოციალიზმმა. ახლა ჩვენ ვიმყოფებით სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გარდამავალ პერიოდში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ერთ ქვეყანაში შესაძლებელია კომუნიზმის გამარჯვება. მაგრამ საქმე ეხება მხოლოდ საშინაო ურთიერთობის სფეროს, იმას, რაც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს არ სცილდება, იმას, რაც ჩვენს ძალებზეა დამოკიდებული.

არის მეორე პრობლემა, რომელიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს არის სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხისაგან ჩვენი ქვეყნის სრული უზრუნველყოფის საკითხი. კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია თვითდამშვიდებას მივეცეთ და მსოფლიო რეაქციის გამოლაშქრებისაგან თავი გარანტირებულად მივიჩნიოთ.

„მართლაც, სასაცილო და სისულელე იქნებოდა, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—თვალი დაგვეხუჭა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრნა, რომ ჩვენი გარეშე მტრები... თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიაძინონ ხალხი“.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის დარგში. დაძლიეს ყველა საშინაო წინააღმდეგობანი და სიძნელენი, შექმნეს ბედნიერი და საამური ცხოვრება. ახლა სულ სხვანაირად გამოიყურება ჩვენი ინდუსტრიული ქალაქები, სხვა შინაარსი და ელფერი აქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ სოციალისტურ სოფლებს. ჩვენს ქვეყანაში აღარ არიან ანტაგონისტური კლასები. ეროვნული შუღლი და ხალხთა შორის მტრული დამოკიდებულება უსიამოვნო მოგონებად იქცა. საბჭოთა კავშირი თანასწორუფლებიან ხალხთა ერთიანი ოჯახია, რომლის თვითეული წევრი დაუბრკოლებლად აშენებს და ავითარებს ფორმით ეროვნულ, შინაარსით სოციალისტურ კულტურას. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების დაუშრეტელი წყაროა.

ჩვენი ხალხი უმაგალითო ენთუზიაზმით, შეუდარებელი სისწრაფით ახორციელებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა გეგმებს, და მას უფლება აქვს იამაყოს გმირული შრომის მონაპოვრით. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი წარმატება, უფლება არა გვაქვს თვითდამშვიდებას მივეცეთ და დავიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა. სანამ მსოფლიოს მეტ წილ ქვეყნებში ბურჟუაზიული წყობილება ჯერ კიდევ რჩება, მსოფლიო რეაქცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის არსებობას. სანამ კაპიტალისტური გარემოცვა სოციალისტური გარემოცვით არ შეიცვლება, ეს საფრთხე არ შემცირდება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმპერიალისტური ქვეყნები კი არ ასუსტებენ, არამედ აძლიერებენ წინააღმდეგობას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისადმი, სულ უფრო უპირისპირდებიან მას და ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. ამ მიზნით იყენებენ ბრძოლის ყველა ფორმასა და საშუალებას. ცნობილია, რომ მსოფლიო რეაქციამ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოაწყო ინტერვენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ 14 ქვეყნის შეიარაღებული ძალები. მაგრამ საბჭოთა ხალხმა მაშინ გმირულად დაიცვა სოციალისტური სამშობლო. უცხოელმა ინტერვენტებმა დამარცხება განიცადეს.

იმპერიალისტური ქვეყნები მის შემდეგაც განაგრძობდნენ მტრულ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირის მიმართ, აქეზებდნენ ჩვენი ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებს, აფინანსებდნენ და აიარაღებდნენ განადგურებული კლასების ბანდიტურ რაზმებს, გზავნიდნენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისათვის. მაგრამ საბჭოთა ხალხი გმირულად ძლევდა ყველა წინააღმდეგობას, ფუშავდა მსოფლიო რეაქციის გეგმებს.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხალხის მოღალატენი — ტროცკისტები და ბუხარინელები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე აფარებდნენ თავს ჩვენს პარტიას, იმპერიალიზმის მიერ მოსყიდული უპრინციპო ბანდიტები იყვნენ, ისინი უცხოეთის დაზვერვის ფუნქციას ასრულებდნენ. ტროცკისტული თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, „კოლმეურნეობებში კულაკობის შეზრდის“ ბუხარინული თეორიები თვალთმაქცური, მტრული თეორიები იყო, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელი შეეშალათ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიამ ამხილა ხალხის მტრები, გაანადგურა მათი უპრინციპო თეორიები. საბჭოთა ხალხმა დაანგრია მოსყიდული ჯაშუშებისა და მოღალატეების ავაზაკური ბუდეები. ამით დასაყრდენი მოუსპო უცხოეთის დაზვერვას.

საბჭოთა ხალხი რწმენით აშენებს დიად მომავალს. იგი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა. ამავე დროს არ ივიწყებს კაპიტალისტურ გარემოცვას და ჯეროვან ყურადღებას აქცევს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვას. ეს იყო იმის მთავარი პირობა, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის მტრებს იმედი გაუცრუვდათ. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა ომიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა. გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად იმპერიალისტური ქვეყნების ჯაჭვიდან მრავალი რგოლი ამოვარდა. წარმოიქმნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, აზიაში შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. უფრო გვიან გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო რევოლუციამ. ჩინელი ხალხის გამარჯვება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იმპერიალიზმის ბანაკისათვის ყველაზე დიდი დანაკლისია. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ ვიეტნამისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები.

ამრიგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა მსოფლიო რუკა. ახლა საბჭოთა კავშირი ერთადერთი თავისუფალი ქვეყანა როდია. საბჭოთა ხალხთან ერთად, საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელობით მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ენერგიულად იბრძვიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები. დემოკრატიის ბანაკი ახლა მოიცავს ტერიტორიას, რომლის მოსახლეობა 800 მილიონს აღემატება. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას მრავალი მეგობარი ჰყავს კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური გარემოცვა მოხსნილი არ არის. იგი განაგრძობს მოქმედებას და საშიშროებას უქმნის მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს.

ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის. აგრესიულ ბლოკებს აკოწიწებენ, სამხედრო ბაზებს აგებენ, მილიარდობით დოლარებს ხარჯავენ იმისათვის, რომ დაშინონ და საომარ მზადებაში ჩააბან დამოკიდებული და კოლონიური ხალხები. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მიზანს ისახავს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი. ყველა ხედავს, თუ როგორ ზრუნავენ რევანშისტული არმიის აღდგენაზე დასავლეთ გერმანიაში. ამერიკელმა იმპერიალისტებმა შარშან სექტემბერში იაპონიასთან გააფორმეს სეპარატული საზავო ხელშეკრულება და მჭიდრო კავშირი დაამყარეს იაპონელ სამურაებ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 21 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვით ბრძოლებს და ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს რეზოლუცია

პარიზი, 22 აპრილი. (საკდესი). 19 და 20 აპრილს პარიზში გაიმართა მშვიდობის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა სპროტესტო რეზოლუცია ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია:

„მშვიდობის ეროვნული საბჭო იწონებს ოსლოში მიღებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას და მადლობას უძღვნის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მან მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს გამოვიდეს დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ.

მშვიდობის ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გაგზავნა კორეაში ჯარები, რომლებიც იბრძვიან ამერიკელთა სარდლობით, და რომ ამით მან პასუხისმგებლობა იკისრა. მრავალი ფაქტისა და დოკუმენტის წინაშე, რომლებიც გააცნეს საზოგადოებრიობას გამოჩენილმა მოღვაწეებმა და, კერძოდ, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის იმ კომისიის წევრებმა, რომელმაც მოახდინა გამოკვლევა ადგილობრივ; იმ უდავო ფაქტების წინაშე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბაქტერიოლოგიური ომი მომზადებულია შეერთებულ შტატებში, როგორც ამას მოწმობენ ამ ქვეყნის პატიოსანი ბრძოლები და ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს რეზოლუცია

პარიზი, 22 აპრილი. (საკდესი). 19 და 20 აპრილს პარიზში გაიმართა მშვიდობის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა სპროტესტო რეზოლუცია ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია:

„მშვიდობის ეროვნული საბჭო იწონებს ოსლოში მიღებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას და მადლობას უძღვნის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მან მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს გამოვიდეს დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ.

მშვიდობის ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გაგზავნა კორეაში ჯარები, რომლებიც იბრძვიან ამერიკელთა სარდლობით, და რომ ამით მან პასუხისმგებლობა იკისრა. მრავალი ფაქტისა და დოკუმენტის წინაშე, რომლებიც გააცნეს საზოგადოებრიობას გამოჩენილმა მოღვაწეებმა და, კერძოდ, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის იმ კომისიის წევრებმა, რომელმაც მოახდინა გამოკვლევა ადგილობრივ; იმ უდავო ფაქტების წინაშე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბაქტერიოლოგიური ომი მომზადებულია შეერთებულ შტატებში, როგორც ამას მოწმობენ ამ ქვეყნის პატიოსანი ადამიანების ნაწერები და ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ამხელენ ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებას კორეაში, ჩინეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებას ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების წინააღმდეგ ჩვენ ვუპირისპირებთ ჩვენი ხალხების ნებას მშვიდობისა და მეგობრობისა.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებას ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების წინააღმდეგ ჩვენ ვუპირისპირებთ ჩვენი ხალხების ნებას მშვიდობისა და მეგობრობისა.

ბაქტერიოლოგიური ომის მოთავეებს სამართლისა ეშინიათ

ვენა, 20 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვენის ერთ-ერთ უდიდეს შენობაში — „მესეპალასტინე“ (ამერიკის სექტორი) უნდა გამართულიყო კრება, რომელიც მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭომ მოიწვია. ამ კრებაზე კორეაში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამოკვლევის შედეგების შესახებ მოხსენება უნდა გაეკეთებინა პროფესორ ბრანდვაინერს.

მაგრამ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა მოთხოვნით ვენის პოლიციის დირექციამ უკანასკნელ მომენტში აკრძალა ამ კრების გამართვა.

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვენიდან იუწყება, გუშინ სხდომის ვენის ამერიკულ სექტორში „მესეპალასტის“ შენობის წინ, სადაც პროფესორ ბრანდვაინერს მოხსენება უნდა გაეკეთებინა, „მოხდა პოლიციის შეტაკება აღშფოთებულ ხალხთან, რომელმაც პროტესტი განაცხადა იმის შესახებ, რომ ამერიკელებმა აკრძალეს ლექცია ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ“. ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის 2 ათასამდე წევრი „მესეპალასტის“ წინ გაიძახოდა ლოზუნგს: „ამერიკელებო, წადით შინ“, და დასძენდა „თან წაიყვანეთ ავსტრიის მთავრობა!“.

ვენა, 20 აპრილი. (საკდესი). ავსტრიის მშრომელები პროტესტს აცხადებენ პროფესორ ბრანდვაინერის დევნის წინააღმდეგ, რომელიც განათლების სამინისტროს ბრძანებით დაითხოვეს კორესა და ჩინეთში ამერიკელთა ბოროტმოქმედების გამოკვლევაში მონაწილეობისათვის.

მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭოს სპეციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბრანდვაინერის დათხოვნა მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭოს მიაჩნია იმის ცდად, რომ დაშინონ ყველა, ვინც სიმართლისა და ადამიანობისათვის იბრძვის.

„ავსტრიელი ხალხი, — ნათქვამია განცხადებაში, — მხურვალე მადლობას უძღვნის პროფესორ ბრანდვაინერს, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების მხილებას. ამიტომ პროფესორ ბრანდვაინერის დათხოვნა ნიშნავს ბაქტერიოლოგიური ომის დაცვას, მისი დათხოვნა მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ფაქტია“.

დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ბევრ საწარმოში იმართება საპროტესტო მიტინგები ავსტრიის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომელნიც სდევნიან მშვიდობისათვის ცნობილ მებრძოლს. განათლების სამინისტროს საპროტესტო წერილები გაუგზავნეს „ჰოფბურშრანცის“ საწარმოს, ორთქლმავალმშენებელი ქარხნის, „აუსტრო-ფიატის“ ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშებმა. მუშები ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ პროფესორ ბრანდვაინერის დევნა და მისი იმ მეთოდების მოაგონებს, რომლებსაც ჰიტლერელები დემოკრატების წინააღმდეგ იყენებდნენ.

პროფესორ ბრანდვაინერი ავსტრიის ყველა კუთხიდან იღებს წერილებსა და დეპეშებს, რომლებშიც მუშები და პროგრესული ინტელიგენცია სოლიდარობას უცხადებენ მას და მხარდაჭერას ჰპირდებიან. ისინი მადლობას უხდიან ბრანდვაინერს მშვიდობის დასაცავად მამაცური ბრძოლისა და კორეაში ამერიკელთა ჯარების დანაშაულებრივი მოქმედების მხილებისათვის.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს სესიის დახურვა

ვენა, 19 აპრილი. (საკდესი). დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს სესიამ დაამთავრა მუშაობა. სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებებზე, აგრეთვე მიმართვები: მთელი მსოფლიოს იურისტებისადმი, უშიშროების საბჭოსადმი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიისადმი.

კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ

ზურგში. ამ იარაღს იყენებენ მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხის წინააღმდეგაც. გამხეცებულ ამერიკელ ომისგამჩაღებლებს ასე სურთ მოსპონ კორეელი ხალხი, სურთ დააშინონ და დააჩოქონ ჩინელი ხალხი.

პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებულია გაბოროტებულ აგრესორთა ვერაგული საქციელით. მსოფლიო რეაქციის გიჟურ მისწრაფებას ჩაფუშავს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალთა ურღვევი ნება. მშვიდობის მომხრეთა ფრონტი, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, ახლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ალაგმოს ახალი ომის გამჩაღებლები. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“. ხალხებს მშვიდობა სურთ. ისინი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან, ერთიანდებიან, აძლიერებენ ბრძოლას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

მშვიდობის ძალთა განუხრელი ზრდა, დემოკრატიის ბანაკის ძლიერება მსოფლიო რეაქციის გააფთრებას იწვევს. იმპერიალისტებმა იციან, რომ ადამიანის შეგნებაში დიდხანს რჩება კაპიტალიზმის ნაშთები, მშრომელები, რომლებმაც დაამსხვრიეს კაპიტალის ბატონობის უღელი, ერთბაშად როდი თავისუფლდებიან კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებისაგან. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადამიანში ჯერ კიდევ არის ნაციონალიზმის გამოვლინების შესაძლებლობა. ამიტომ ბნელეთისმოციქულები მილიონობით დოლარს ხარჯავენ ჯაშუშებისა და დივერსანტების მოსამზადებლად. სპეციალურ სკოლებს ხსნიან სამშობლოს მოღალატეთა გადასამზადებლად. წვრთნიან და გზავნიან მათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ყველაფერს აკეთებენ, რომ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შარშან ოქტომბერში მიიღო კანონი „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის გამოყოფას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიული, ჯაშუშური და გამცემლური საქმიანობის დასაფინანსებლად. ეს კანონი ნათლად მოწმობს, რომ ამერიკელ იმპერიალისტებს განზრახული აქვთ გააძლიერონ ჯაშუშებისა და მცველების შეგზავნა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

თხუთმეტი წლის წინათ ამხანაგი სტალინი პარტიას აფრთხილებდა: „საჭიროა გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა წარმოადგენს ძირითად ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, — იარსებებენ მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგში გზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები“.

ახლა, როცა მსოფლიო რეაქცია წოდანსწორობას კარგავს და გაფაციცებით ემზადება ომისათვის, ჩვენ უფრო მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე გვმართებს. საბჭოთა ხალხი იმპერიალისტთა საომარ ისტერიკას უპასუხებს გმირული, შემოქმედებითი შრომით, კომუნიზმის დიად მშენებლობათა გაჩაღებით, უფრო მეტად განამტკიცებენ და გააძლიერებენ ჩვენს ქვეყანას, — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბასტიონს მთელ მსოფლიოში.

ა. ჩავლეიშვილი

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ცირანკევიჩმა დარბაზობა გაუმართა ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლებს

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს პოლონეთის მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის პროექტის ვარიანტები.

საღამოს პოლონეთის პრემიერ-მინისტრ ცირანკევიჩთან გაიმართა პოლონეთის მთავრობის წევრების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეების, კულტურის, მეცნიერების მოღვაწეების, არქიტექტორების, ვარშავის მშენებლების შეხვედრა ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის საბჭოთა დამპროექტებლებთან.

დარბაზობას დაესწრნენ კულტურისა და მეცნიერების სასახლის პროექტის ავტორები სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი ლ. ვ. რუდნევი და სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ი. ე. როკინი, კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობის უფროსი, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის მოადგილე გ. ა. კარავაევი, მისი მოადგილეები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ა. სობოლევი.

გელოიანისის დღის მიმართვა

ლონდონი, 19 აპრილი. (საკდესი). „დეილი უორკერი“ აქვეყნებს სიკვდილით დასჯილი ბერძენი პატრიოტის ნიკოს ბელოიანისის დედის მიმართვას მსოფლიოს ყველა ადამიანისადმი.

მიმართვაში ნათქვამია: „გულდათუთქული დედა, რომლის ერთადერთი შვილი ფაშისტმა ჯალათებმა მოკლეს, გამსჭვალულია თქვენდამი მადლიერებით. თქვენ პატიოსანი ხელი გაუწოდეთ, რათა სიკვდილისაგან გეხსნათ ჩემი შვილი.

დაე ჩემი შვილის სისხლმა სამსახური გაუწიოს ყველა ხალხის, მათ შორის ჩვენი ხალხის მშვიდობას და ბედნიერებას. იგი იბრძოდა მშვიდობის საქმისათვის და სიცოცხლე შესწირა მას. დაე მისი სისხლიდან, რომელიც დაიღვარა ჩვენი უბედური სამშობლოს მიწაზე, აღმოცენდეს მშვიდობის ყვავილები და დაე მისმა ღიმილმა გაასხივოსნოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ცხოვრება, რათა სხვა დედებს აღარ მოუხდეთ ტირილი.

მწუხარებით გულმოკლული, მაგრამ თავისი შვილით ამაყი დედა ვასილიკი ბელოიანისი“.

ბავშვებისათვის ზრუნვა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

კეკინი, 22 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, დიდ ზრუნვას იჩენს ახალგაზრდა თაობისათვის.

ყოველდღიური გაზეთი „გუანმინყიბაო“ იუწყება, რომ ამჟამად რესპუბლიკაში 500 სამშობიარო სახლია. ვიეტნამელ ქალთა ეროვნული კავშირის სასოფლო განყოფილებანი სამშობიარო სახლებში გზავნიან თავიანთ წევრებს, რათა შეასწავლონ მეანობის ახალი მეთოდები. მაგალითად, 1951 წლის დამლევისათვის ასწავლეს 6.000 მეან-ქალს. ბავშვების სამედიცინო მომსახურებისათვის ყოველ სავადმყოფოსთან პროვინციების დედაქალაქებში შექმნილია პედიატრიული კლინიკები. სოფლებში უფასო საბავშვო კონსულტაციებია.

საწარმოებსა და სოფლებში შექმნილია საბავშვო ბაღები.

ჩრდილოეთ აფრიკის ბავშვების მძიმე მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ დაბეჭდა ერთი ამერიკელი ქალის წერილი, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ჰ. ბ. ჯ.“ ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ომობაზური ჩრდილოეთ აფრიკაში და, კერძოდ, აღწერს ტუნისელი ბავშვების მდგომარეობას.

როცა ჩვენი გემი ორანის ნავსადგურში შევდა, ნათქვამია წერილში, ჩვენ შემოგვხვდნენ არაჩვეულებრივ ლეული ფეხშიშველა ბავშვები, რომლებსაც ძონძები ეცვათ, ბევრი მათგანი ხეიბარი იყო. ბავშვები გვარს შემოვრტყნენ მგზავრებს და მოწყალებას თხოულობდნენ.

ქალაქ ორანის „ევროპული“ უბნებიდან რამდენიმე ნაბიჯზეა ასობით ქოხმახი, სადაც მშრომელები ცხოვრობენ. ეს ქოხმახები მდებარეობს პუჭყიან, აყროლებულ ჭუჩებზე. იქ არც ტროტუარებია, არც კანალიზაცია, არც წყალი და განათება. ქოხმახები აგებულია ტოლის ნაგლეჯებით, თუნუქის ნაჭრებით, დაჟანგული მავთულითა და სხვადასხვა ხარახურით.

მუშათა უბნების ჭუჩებში რომ მიდიხართ, წერს წერილის ავტორი, ქოხმახების თხელი კედლებიდან მოისმის ტუბერკულოზიანი ბავშვების განუწყვეტელი ხვნესა. ბავშვთა სიკვდილიანობა ტუნისში 60 პროცენტს აღწევს.

„ბრმების, ტუბერკულოზიანების რიცხვი, აგრეთვე ბავშვთა სიკვდილიანობა მუდმივად მატულობს. მაგრამ, სიღატაკით გამოწვეულ საშინელ სნეულებათა მიუხედავად, 50 ათას კაცზე ერთი ექიმი მოდის, ხოლო ერთი საავადმყოფო მილიონზე მეტ კაცზე მოდის“.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ტუნისის მოსახლეობის 90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ყოველ 20 ბავშვზე სკოლაში მარტო 1 ბავშვი სწავლობს.

შარაკეშის (მაროკო) რკინიგზის სადგურზე, ნათქვამია წერილში, ვნახეთ, რომ შეიარაღებულმა მცველებმა პატიმართა ჯგუფი გაატარეს. პატიმართა შორის იყვნენ 8-10 წლის ბავშვები, რომლებსაც ძონძები ეცვათ. ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებმა ქალმა წერილის ავტორს განუცხადა: „ქუჩებში გამოყრილ ამ ბავშვებს, რომელთაც შიმშილი და სხვადასხვა ავადმყოფობა მოელის, საპყრობილეში გზავნიან, როგორც მაწანწალებს“.

ჰოლანდიის გაზეთი სამხედრო მანევრების შესახებ დასავლეთ გერმანიაში

ჰააგა, 22 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ტროუვი“, ეხება რა დასავლეთ გერმანიაში დასავლეთის მაკუპირებელ სახელმწიფოთა მომავალ დიდ სამხედრო მანევრებს, წერს: „მომზადებული შეიარაღებული ძალების (500 ათასამდე კაცი) კონცენტრაციის მიზანია რეზერვის როლი შეასრულოს, თუ შემოდგომაზე დასავლეთ გერმანიაში პოლიტიკური მდგომარეობა ნაკლებად მტკიცე იქნება“. როგორც „ტროუვი“ იუწყება, დასავლეთ გერმანიაში მოკავშირეთა დიდი ჯარების თავმოყრას შეუძლია თავისი როლი შეასრულოს გერმანიის პრობლემის „გადაწყვეტაში“. მანევრების მოწყობით, აღნიშნავს გაზეთი, ამერიკელები პირველ რიგში პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ.

სამეცნიერო სესია

ხვალ, 24 აპრილს საღამოს 8 საათზე, გაიხსნება თბილისის სამხატვრო აკადემიის მესამე სამეცნიერო სესია. სხდომები გაიმართება აკადემიის საქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 22).

პირველ სხდომაზე სესია მოისმენს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ი. მელქაძის მოხსენებას: „ი. ბ. სტალინი — ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ორგანიზატორი“ და ვ. დოლიძის მოხსენებას — „თურქი აგრესორები საქართველოში 1918 წელს“.

მეორე სხდომა გაიმართება 25 აპრილს საღამოს 8 საათზე. მოხსენებას მეთვრამეტე საუკუნის ზოგიერთ მინიატურათა შესახებ გააკეთებს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ფირალიშვილი, გიგო გაბაშვილის ფერწერის ტექნიკის შესახებ ამავე სხდომაზე მოხსენებას გააკეთებს დოცენტი ი. მამალაძე და მრავალსახოვანი საორნამენტე ფილების შესახებ — არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სუმბაძე.

დასკვნითი სხდომა შედგება 26 აპრილს. მოსმენილ იქნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ შ. ამირანაშვილის მოხსენება — „მაშუკა მდინარე“. მოხსენებას საქართველოსა და სომხეთის ეულეანური ქვების მოჭიქურების შესახებ გააკეთებს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ა. ფიცხელაური.

სასამართლო

მექრთამეს — ღირსეული სასჯელი

ბრალდებულის სკამზე სხედან მტკვრის მარცხენა სანაპიროს თბილკვებვაჭრობის ინსპექტორი გ. ქადაგიშვილი, № 102 მაღაზიის გამგე ი. ბუაძე, ამავე მაღაზიის № 1 ფარდულის გამყიდველი ა. რთველაძე და მისი მრჩეველი მ. რთველაძე.

სასამართლო პროცესზე, ისე როგორც წინასწარ გამოძიებისას დადასტურდა, რომ ინსპექტორმა ქადაგიშვილმა გამყიდველ რთველაძეს № 1 ფარდულში უფასტურო არაყი აღმოუჩინა, მაგრამ ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევაში დახმარება აღუთქვა, თუ რთველაძე 2.000 მანეთს გაიღებდა.

გამყიდველმა ინსპექტორისათვის მხოლოდ 700 მანეთის მიცემა მოასწრო, რომ ინსპექტორს დანაშაულზე წაესწრებინა, საქმე შეუდგინეს და პასუხისგებაში მისცეს.

ამ ბოროტმოქმედთა საქმე ამას წინათ გაარჩია თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ს. გაბელაიას თავმჯდომარეობით.

სასამართლომ მექრთამე გიორგი დავითის-ძე ქადაგიშვილს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის ვადით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. მაღაზიის გამგეს ივანე სიმონის-ძე ბუაძეს, რომელმაც ხელოვნურად გაზარდა საქონლის ფასი, მიუსაჯა წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა, ალექსანდრე პეტრეს-ძე რთველაძეს უფასტურო არყით ვაჭრობისათვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. პიტროფანე პეტრეს-ძე რთველაძეს, რომელმაც რჩევა მისცა ა. რთველაძეს გადაეთქვა ქრთამის მიცემის ფაქტი მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა წლინახევრით.

გ. ხენგავა

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 23 აპრილს, სალამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის **ვ. კახეთელიძის** საჯარო ლექციას თემაზე: **„პატრონსანი და ნაყოფიერი შრომა საბჭოთა საზოგადოებისა და პიროვნების კეთილდღეობის საფუძველია“.**

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა: ამხ. კ. ი. რაზმაძე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში და ამხ. ვ. გ. გელაშვილი საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრის მოადგილედ. (საქდესი).

თვითმოქმედი მხატვრების ნამუშევართა დათვალიერება

საქართველოს პროფესიონალური ლიტერატურის ნაწერების ნაწერების ნაწერების